# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს

ქართული ოცნება GEORGIAN DREAM



## ძვირფასო წალენჯიხელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!
თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.
„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.
ჩვენ მიერ წარდგენილი წალენჯიხის მერობის კანდიდატისა და წალენჯიხის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს წალენჯიხის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.
ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს წალენჯიხა და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.
სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება საბიუჯეტო შემოსავლები – თუ 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6 მლნ ლარი იყო, 2020 წელს – 16,3 მლნ ლარამდე გაიზარდა. იზრდება ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიც – 2013 წელს მუნიციპალიტეტმა შემოსავლების სახით 4,6 მლნ ლარი მიიღო, 2020 წელს უკვე 8,5 მლნ ლარი შეადგინა. ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 2013 წელს 6,9 მლნ ლარი იყო, 2020 წლის საბიუჯეტო ხარჯების მაჩვენებელი 9,3 მლნ ლარია. ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტში,** 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 2 პროექტი** (ინვესტიცია 2 715 083 ლარი, თანამონაწილეობა 1 086 033 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 170 ჰექტარზე განხორციელდა 110 პროექტი (ჯამურად 2 737 226 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 351 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 1 608 776 ლარი), რითაც 522-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებზე სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 14 421 ლარი გაიცა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეისათვის მოქმედებს 10 კოოპერატივი (110 მეპაიე, კაპიტალი 477 480 ლარი). პროგრამით **„ქართული ჩაი“,** 2016-2021 წლებში, რეაბილიტირებულია 359 ჰექტარი (ჯამურად 897 436 ლარი). პროგრამით **შეღავათიანი აგროკრედიტი**, 2013-2021 წლებში, ჯამურად 6 947 539 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 1 445 981 ლარი), რითაც 126-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. 2020 წლიდან მიმდინარეობს 2 ახალი პროგრამა: **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით** დღემდე 3 პროექტი განხორციელდა (ინვესტიცია 23 679 ლარი, თანადაფინანსება – 11 839 ლარი), ხოლო **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამით** 14 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამურად 278 895 ლარი, თანადაფინანსება 210 324 ლარი).

2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, წალენჯიხის **მუნიციპალიტეტში,** ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 3 834 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 13 290 ჰექტარი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“ წალენჯიხაში** დაფინანსდა 1 საწარმო (ჯამურად 340 671 ლარი, დასაქმებულია 6 ადამიანი). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 744 327 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 949 358 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 108 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 73, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 35 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

### ენერგეტიკა

**საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებას და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.**

2014-2021 წლებში, **სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში,** აშენდა 9 ჰიდროელექტროსადგური (მაქსანია ჰესი, მესტიაჭალა 1 ჰესი, მესტიაჭალა 2 ჰესი, იფარი ჰესი, ხელრა ჰესი, ლახამი 1 ჰესი, ლახამი 2 ჰესი, კასლეთი ჰესი 2, ხელრა ჰესი), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 72 მგვტ-ია, წლიური გამომუშავება 296 მილიონი კვტ/ სთ.

**სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 6 ჰიდროელექტროსადგური:**



ჯვარი-წალენჯიხის გზა

- ხობი ჰესი 2 – დადგმ. სიმძლავრე 46,70 მგვტ, 63 მლნ აშშ დოლარი;
- ნაკრა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 7,50 მგვტ, 9 მლნ აშშ დოლარი;
- ნენსკრა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 280 მგვტ, 1 მლრდ აშშ დოლარი;
- ჯაღონ-ნამუში ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 2,4 მლნ აშშ დოლარი;
- ნაცეშარი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,93 მგვტ, 2,6 მლნ აშშ დოლარი;
- დარჩი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 16,9 მგვტ, 19,8 მლნ აშშ დოლარი;

**რეგიონის ტერიტორიაზე ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა შემდეგი ჰიდროელექტროსადგურები:**

- ვედი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 24 მგვტ, 19,1 მლნ აშშ დოლარი;
- წირმინდი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 15,6 მგვტ, 13,4 მლნ აშშ დოლარი;
- ლაპლაჭალა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 12 მგვტ, ინვესტიცია 11,9 მლნ აშშ დოლარი;
- ლუხრა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 3,5 მგვტ, 14 790 000 აშშ დოლარი;
- ხუბერი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 2,24 მლნ აშშ დოლარი;
- ჭანი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 0,5 მგვტ, 0,696 მლნ აშშ დოლარი;
- დიზი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 210 მგვტ, 388 მლნ აშშ დოლარი;
- ხუდონი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 702 მგვტ, 776 მლნ აშშ დოლარი;

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტში,** 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 3 103 აბონენტი. 2021 წელს იგეგმება კიდევ 13 დასახლებული პუნქტის (ჯვარი, ჩქვალერი, ლია, საჩინო, ფახულანი, მედანი, ობუჯი, ნაკიფუ, ჭალე, ჯგალი, მიქავა, ეწერი, მუჟავა) გაზიფიცირება და ბუნებრივი აირით დამატებით 10 327 აბონენტი ისარგებლებს. 2013-2017 წლებში, 1106 აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

## ტურიზმი

**„ქართული ოცნების" გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განსავითარებლად,** 2014 წელს, წალენჯიხაში ჩატარდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. 2015 წელს განხორციელდა სქურიდან კირნახონამდე გზისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (402 ათასი ლარი).

- **მომავალში „ქართული ოცნების" გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2013-2020 წლებში, **წალენჯიხის მოსახლეობისთვის** ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 8,7 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 1894,4 კუბური მეტრი ხე-ტყე. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება.** 2016 წლიდან მიმდინარეობს **კოლხური ბზის გადარჩენის პროგრამა,** დაზიანებული ბზის კორომების ბიოლოგიური საშუალებით დამუშავება და მავნებელთან ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებები. 2018 წელს წამლობა ბიოლოგიური ინსექტიციდის გამოყენებით 14 ჰა ფართობზე განხორციელდა.

გარემოს ეროვნული სააგენტო უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ამზადებს და ავრცელებს ამინდის პროგნოზს და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი ყოველწლიურად ატარებს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, წალენჯიხაში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 18 მლნ ლარამდე დაიხარჯა, აშენდა 2 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 6 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 9,1 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 33 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 4 137 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში წალენჯიხის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად 3 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. **ამჟამად მიმდინარეობს** ქალაქ ჯვარში, სააკაძისა და აფაქიძის ქუჩების მიმდებარე უბნების წყალმომარაგების სისტემის პროექტირება/მშენებლობა (504 708 ლარი); ქ.ჯვარის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა (29 409 074 ლარი)



სოფელი ეწერი

**2021-2022 წლებისთვის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:**

- ეწერის ადმინ. ერთეულში გზის მოწყობის სამუშაოები – 500 000 ლ;
- მედანის ადმინ. ერთეულში გზის მოწყობის სამუშაოები – 500 000 ლ;
- ბ. შანავას ქუჩის სრული რეაბილიტაცია – 552 777 ლ;
- ნაკიფუს ადმინ. ერთეულში წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია – 577 676 ლ;
- ქ. ჯვარის კულტურის სახლის რეაბილიტაცია, I ეტაპი – 202 325 ლ;
- ჯვარის ადმინისტრაციულ ერთეულში საჯაიას, ჭავჭავაძის, კოსტავას, რუსთაველის, ლემონჯავას, სარალიძის, გაბუნიას, ჯიქიას, სოხუმისა და ქანთარიას ქუჩებზე გარეგანათების რეაბილიტაცია – 116 130 ლ;
- ქ. წალენჯიხა, ვ. შანავას ქ. გზის რეაბილიტაცია (I მონაკვეთი) – 484 173 ლ;
- ქ. წალენჯიხა, სამეგრელოს ქ. I-II შესახვევის გზის რეაბილიტაცია – 656 716 ლ;
- ქ.წალენჯიხა, მშვიდობის ქუჩის გზის რეაბილიტაცია – 454 784 ლ;
- ქ. წალენჯიხა, თვალთვაძის ქუჩის გზის რეაბილიტაცია – 539 310 ლ.




ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# გოგა გულორდავა: „წალენჯიხელებთან ერთად აუცილებლად ავაშენებთ უკეთეს წალენჯიხას“

**გოგა გულორდავას წალენჯიხაში განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. მშობლიურ მუნიციპალიტეტს თავი წალენჯიხელებზე განსაკუთრებული ზრუნვით უკვე დაამახსოვრა. მუნიციპალიტეტის გამგებელიც იყო და მაჟორიტარი დეპუტატიც, მე-9 მოწვევის პარლამენტში. ამჯერად წალენჯიხის მერობას აპირებს. ამბობს, რომ საარჩევნო მარათონში ჩართვას არ გადაწყვეტდა, წალენჯიხელების მხარდაჭერას რომ არ გრძნობდეს. მხარდაჭერის მიზეზად კი, „ქართული ოცნების“ მიერ მუნიციპალიტეტში განხორციელებულ პროექტებს ასახელებს. ამბობს, რომ წალენჯიხაში ბევრი რამ უკვე შეიცვალა სასიკეთოდ, თუმცა გამოწვევები ჯერ კიდევ არის. „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის მთავარი წინასაარჩევნო დაპირებაც სწორედ ესაა – გუნდთან ერთად, წალენჯიხაში არსებულ ყველა გამოწვევას უპასუხოს და წალენჯიხელებთან ერთად, უკეთესი წალენჯიხა ააშენოს.**



დაიბადა 1979 წლის 21 დეკემბერს.

1995-2000 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იურიდიულ ფაკულტეტზე, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. აქვს მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი.

2000-2002 წლებში იყო საქართველოს კონტროლის პალატის რეფორმებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი ინსპექტორი; 2002-2003 წლებში – წამყვანი კონტროლიორი; 2003-2004 წლებში – შიდა კონტროლისა და საგანგებო დავალებათა სამმართველოს წამყვანი კონტროლიორი; 2004-2005 წლებში – რეალური სექტორისა და პრივატიზების დეპარტამენტის წამყვანი კონტროლიორი, 2005-2007 წლებში – რეალური სექტორისა და პრივატიზების დეპარტამენტის მთავარი კონტროლიორი.

2008-2009 წლებში გახლდათ იურისტი TLC-ში (თბილისის იურიდიული ცენტრი), 2009-2012 წლებში – შპს „საქართველოს სატყეო საკონსულტაციო ცენტრის“ დირექტორი. 2009-2011 წლებში იურისტი შპს „მედია ალიანსში“, 2011-2013 წლებში – დირექტორი; 2013 წლიდან დღემდე არის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი, 2016-2020 წლების პარლამენტის წევრი, არის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მრჩეველი, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში.

ფლობს გერმანულ და ინგლისურ ენებს

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

**– ბატონო გოგა, საპარლამენტო არჩევნების წინ, როცა წალენჯიხის მაჟორიტარობისთვის იბრძოდით, ამბობდით, მინდა, ამომრჩეველმა იგრძნოს, რას ნიშნავს, როცა ხელისუფლება ხალხზე ზრუნავსო. მიაღწიეთ მიზანს?**

– ვფიქრობ, რომ ეს მისია ძირითად ნაწილში შევასრულე. რომ არა განცდა და განწყობა, შეიძლება ეს ნაბიჯი არ გადამედგა და დღეს არ ვყოფილიყავი კანდიდატი. ამიტომ, სწორედ ამ საზოგადოების, ჩემი წალენჯიხელების განწყობამ მომცა ეს შესაძლებლობა და დამარწმუნა იმაში, რომ კიდევ ერთხელ წარვმდგარიყავი მათ წინაშე, უკვე როგორც მერობის კანდიდატი.

**– წალენჯიხელების ეს განწყობა რის შედეგია, რა შეიცვალა ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ?**

– ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, წალენჯიხაში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. არ მიყვარს ხოლმე აპელირება, მაგრამ მძიმე მემკვიდრეობა მივიღეთ 2013 წელს, როცა პირველად მოვედით ხელისუფლებაში. ინფრასტრუქტურა, შეიძლება ითქვას, იყო განადგურების ზღვარზე. საგზაო ინფრასტრუქტურა იქნებოდა ეს, ბაღები, თუ სკოლები, იყო კრიტიკულ მდგომარეობაში. დღეს უკვე ინფრასტრუქტურის ძალიან დიდი ნაწილი აღდგენილ-რეაბილიტირებულია. ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, ყველა სოფლამდე მისასვლელი გზა აღდგენილია, აშენდა 8 ახალი საბავშვო ბაღი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 90%-ზე მეტს, აშენდა 4 ახალი სკოლა, ყველა სოფელში ახალი, თანამედროვე ტიპის ამბულატორია. მოგეხსენებათ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი სპეციფიკურია ადმინისტრაციული მოწყობის მხრივ. აქ არის 2 ქალაქი. წალენჯიხა, როგორც მუნიციპალიტეტის ცენტრი და ქალაქი ჯვარი, რომელიც თავისი ისტორიული დატვირთვით მუნიციპალიტეტის განვითარებაში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს. აშენდა, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების 2 ცენტრი, გვაქვს პოლიციის ახალი შენობა, 2 ახალი სახანძრო-სამაშველო სამსახურის განთავსების ლოკაცია და ყველაზე მთავარ მიღწევად, საუკუნის პროექტად შეიძლება დავასახელოთ გაზიფიცირება, რომელიც შარშან დავიწყეთ. ეს მართლაც ისტორიული ფაქტია წალენჯიხისთვის. კომუნისტების დროსაც კი არ იყო გაზი წალენჯიხაში. აშენდა ცენტრალური მაგისტრალი და დღეს უკვე ყველა სოფლის მიმართულებით მიმდინარეობს დაქსელვის სამუშაოები, რომლებიც წელს დასრულდება და უკვე მომავალ წელს, სრულიად მუნიციპალიტეტი იქნება გაზიფიცირებული. ვფიქრობ, ეს ყველაზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც ამ წლების განმავლობაში წალენჯიხაში განხორციელდა.

**– მიუხედავად ამდენი განხორციელებული პროექტისა, რა გამოწვევების წინაშეა დღეს მუნიციპალიტეტი?**

– რა თქმა უნდა, გამოწვევები არის. მაგალითად, წყალმომარაგება. ბოლო პერიოდში, გლობალური პროცესებიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით გარკვეულ ლოკაციებზე გაჩნდა პრობლემები. ბევრი პროექტი განვახორციელეთ, მაგრამ დარჩა სოფლები, სადაც წყალმომარაგების სისტემები გვაქვს მოსაწესრიგებელი. შეიძლება ითქვას, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ძირითადი ნაწილის მოწესრიგება მოვახერხეთ, თუმცა გამოწვევები რა თქმაუნდა რჩება.

**– და მუნიციპალიტეტთან დაკავშირებული თქვენი გეგმა, დარჩენილი გამოწვევების საპასუხო პროექტების განხორციელებაა?**




– დიახ, თუმცა გვაქვს ასევე ძალიან კარგი ახალი იდეები, რომ მომდევნო 4 წლის განმავლობაში, ის ფინანსური რესურსები, რაც ადგილობრივ დონეზე იქნება მობილიზებული, მივმართოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების პროექტებზე. წალენჯიხას უდიდესი პოტენციალი გააჩნია, რომ ტურიზმის მიმართულებით განვითარდეს და ამ ნაწილში, კრიტიკული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გადაუდებლად აუცილებელია. სწორედ ეს იქნება ხელშემწყობი ტურისტული ლოკაციების მიზიდულობისთვის, საინვესტიციო გარემოს შესაქმელად. მომავალი 4 წლის განმავლობაში, ჩვენი რესურსების დიდი ნაწილი დაეთმობა ამ მიმართულებებს. ასე რომ, ზემოთ ჩამოთვლილი პროექტების ფონზე, ვფიქრობ, ეფექტურად ვიმუშავეთ. ცხადია, არ არის იმდენი რესურსი, რომ ყველაფერი ერთდროულად მოგვარდეს. ამიტომ, ამ პერიოდში ამ რესურსის სწორად განაწილება იყო საჭირო, რათა მივსულიყავით იქამდე, რომ ამის შემდეგ თამამად გადავიდეთ ისეთი თემატიკის საკითხების მოწესრიგებაზე, როგორიცაა სპორტული მოედნები, ბაღები, სკვერები, ახალგაზრდული სივრცეები. ახალგაზრდების თავშეყრის ადგილები უმნიშვნელოვანესია, რათა მათ მიიღონ როგორც ზოგად უნარებში სწავლა-განათება, ასევე შეძლონ ურთიერთობა და შექმნან ისეთი იდეები, რომლებიც შემდგომში მუნიციპალიტეტის საჭიროებებზე იქნება მორგებული.

**– ზოგადად, აქტიურობენ წალენჯიხაში ახალგაზრდები და მათგან იდეები თუ მოდის?**

– სხვათაშორის, ყველა ის იდეა, რომელზედაც ვისაუბრე, სწორედ ახალგაზრდებთან შეხვედრების დროს გამოიკვეთა. მომავალ 4 წელიწადს ჩვენ მათთან ერთად დავგეგმავთ ისეთ პროექტებს, რომლებიც მათ საჭიროებებზე იქნება მორგებული.

**– ფიქრობთ, ეს იქნება საფუძველი, რომ ახალგაზრდების ადგილზე დამაგრება მოხდეს და მათ მუნიციპალიტეტიდან წასვლის სურვილი აღარ გაუჩნდეთ?**

– რა თქმა უნდა. ჩვენთან გამოწვევად ჯერ კიდევ რჩება დასაქმება. სამუშაო ადგილები უნდა იყოს, რომ ახალგაზრდები მუნიციპალიტეტიდან არ წავიდნენ. ტენდენცია შეინიშნება, რომ ბოლო წლების განმავლობაში ახალგაზრდები რჩებიან და ადგილზე ეძებენ საშუალებებს, რათა დაიმკვიდრონ ადგილი. ჩვენ აუცილებლად უნდა გავუხსნათ ფართოდ კარი, უნდა შევუწყოთ ხელი, რომ მათი ჩართულობა მუნიციპალიტეტის მართვაში იყოს იმაზე მაღალი, ვიდრე სხვა პერიოდში ყოფილა.

**– სამუშაო ადგილები ვახსენეთ.**

**ახალი საწარმოები იხსნება მუნიციპალიტეტში, ან სოფლის მეურნეობის მიმართულებით თვითდასაქმებულთა რაოდენობა თუ იზრდება?**

– ბოლო წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის მიმართულებით განსაკუთრებით გაიზარდა სამუშაო ადგილების რაოდენობა. სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი ძალიან ბევრი სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს. კარგად აითვისეს ეს პროგრამები წალენჯიხაშიც. განსაკუთრებით გამოვყოფ კენკროვანი კულტურების ხელშეწყობის პროგრამას – მომავალ წელს დაახლოებით 300 ჰექტარზე იქნება გაშენებული ლურჯი მოცვი. ეს საქართველოში საკმაოდ მზარდი კულტურაა და შემოსავლიანიც. აღსანიშნავია, რომ გაშენებული ლურჯი მოცვის ბაღების ფართობი, იძლევა შესაძლებლობას, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში აშენდეს და განვითარდეს სამაცივრე-სასწყობე მეურნეობა, რაც გაზრდის მოცვის პროდუქციის სარეალიზაციო ფასს – შესაბამისად იქნება მეტი შემოსავლები და სამუშაო ადგილები. ათეულობით ჩვენი ფერმერი დაკავებულია და ქმნის სამუშაო ადგილებს ამ მიმართულებით. ასევე, ფაროსანასთან ბრძოლამ თხილის მიმართულებით გამოიღო ძალიან კარგი შედეგები და თხილის მოსავლიანობამაც იმატა. ამ მიმართულებაშიც ძალიან ბევრი ფერმერია დასაქმებული. რაც შეეხება ზოგადად სამუშაო ადგილებს, ინტერვიუს დასაწყისში რაც ჩამოვთვალე, ყველა იმ პროგრამის განხორციელებისას, 80%-ზე მეტი ადგილობრივი მუშა-ხელი და ადგილობრივი სპეციალისტია დასაქმებული. არც სამომავლოდ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული თუ სხვა პროექტები არ არის მხოლოდ პროექტები – მათი საშუალებით, კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, გაჩნდება სამუშაო ადგილები ადგილობრივ დონეზე.

**– ტურიზმი წალენჯიხის განვითარების ერთ-ერთი პერსპექტივაა. რა დღის წესრიგი შექმნა თქვენ მუნიციპალიტეტში პანდემიამ, რამდენად ეფექტური იყო მისი მართვა და ხომ არ განვითარდა შიდატურიზმი?**

– წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მაღალია ტურიზმის განვითარების პოტენციალი, რასაც განაპირობებს წალენჯიხის ტერიტორიაზე არსებული ტურისტულად საინტერესო ადგილები და მარშრუტები.

პანდემიამ ძირეულად შეცვალა ჩვენი ცხოვრების წესი როგორც მსოფლიო, ისე ადგილობრივ დონეზე. შიდა ტურიზმი მართლაც გააქტიურდა ამ კუთხით და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან წელს მეტი ვიზიტორი გვყავს, ვიდრე სხვა დროს შეინიშნებოდა. მართვას ვახორციელებთ იმ რეგულაციებით, რომლებსაც იღებს საკოორდინაციო საბჭო. ეპიდემიოლოგიური ვითარება მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული სიმწვავით არ გამოირჩევა, გარდა რიგი ცალკეული შემთხვევებისა. ვფიქრობ, ვახერხებთ, მაქსიმალურად ეფექტურად ვმართოთ პანდემია პროცესიც და ვაქცინაციის პროცესიც გავააქტიუროთ. მოსახლეობა დარწმუნდა, რომ ამ ეტაპზე, ვაქცინაცია, პანდემიის დამარცხების ერთადერთი გზაა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ულამაზესი ბუნებით. ხეობები, ჩანჩქერები და საოცარი ალპური ტბები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე და მოგზაურობის მრავალ მოყვარულს იზიდავს. უცხოელი ტურისტები, ძირითადად აგროტურიზმითა და ეკოტურიზმით არიან დაინტერესებულნი და ამიტომაც მიემართებიან მაღალმთიან სათავგადასავლო ტურისტულ მარშრუტებზე, როგორიცაა ჩვენი ტობავარჩხილი, მდ. ინწრას სათავე და მთელი ხეობა, ყვირასმთა, წიფურონა (წიფლნარი), კერნახონა, სქური და სხვა. „ენგურჰესზე“ ტურისტული კომპლექსის შექმნის პროექტის განხორციელებას, როგორც წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის, ასევე რეგიონისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული უამრავი ადამიანი მოინახულებს. პრემიერის დავალებით, პროექტი გადასულია უშუალოდ განხორციელებაზე. ენერგეტიკის განვითარების ფონდს მიღებული აქვს დავალება, გამოყოფილია საწყისი ბიუჯეტი და ეს პროექტი მივიყვანილ იქნება ბოლომდე.

ჩვენი მუნიციპალიტეტი ჩაერთვება აქტიურად ტურიზმის პოპულარიზაციის საკითხში, დავაინტერესებთ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს, რათა განახორციელონ ინვესტიციები ამ სფეროში.

**– ბატონო გოგა, მუნიციპალიტეტის მართვის გამოცდილება უკვე გაქვთ – წალენჯიხის გამგებელი იყავით. როგორც გამგებელმა, წალენჯიხელებს თავი რით დაამახსოვრეთ და ზოგადად, თავის დროზე, პოლიტიკურად გააქტიურება და „ქართული ოცნების“ გუნდის წევრობა რატომ გადაწყვიტეთ?**

– ნაციონალების მიმართ ყოველთვის ოპოზიციურად ვიყავი განწყობილი. მას შემდეგ, რაც პოლიტიკურ ასპარეზზე „ქართული ოცნება“ გამოჩნდა, მეგობრების წრეში მუდმივად იყო საუბარი დავბრუნებოდი მშობლიურ მუნიციპალიტეტს, რომელთანაც კავშირი არასოდეს გამიწყვეტია. ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ გადამაწყვეტინა, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, ქვეყნის და ჩემი მშობლიური წალენჯიხის გადარჩენისთვის ბრძოლაში წვლილი შემეტანა, როგორც რიგით ჯარისკაცს. წალენჯიხის გამგებლად დავინიშნე, 2014 წელს კი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კენჭი ვიყარე და გავიმარჯვე. გამგეობაში მისვლის დღიდან დავაფიქსირე, რომ მოქალაქეებისთვის გამგებელი იყო შეუვალი, მასთან კონტაქტის დამყარებას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. ეს სტერეოტიპი ძალიან მალე და მარტივად დავამსხვრიეთ, რადგან გადავედით უშუალო კომუნიკაციაზე. გარდა დაწესებული მიღების დღეებისა, სხვა დროს მოსულ ადამიანებსაც არ ვუხურავდით კარს. წალენჯიხელებს ჩვენთან გასაუბრების შესაძლებლობა 24 საათის განმავლობაში ჰქონდათ. ხშირად გვქონდა შეხვედრებიც. მერწმუნეთ, არ დაგვიგეგმავს არც ერთი ინფრასტრუქტურული, სოციალური თუ სხვა სახის პროექტი, თუნდაც ბიუჯეტი, ყველა თემში უბან-უბან შეხვედრებისა და განხილვის გარეშე. თითოეული წალენჯიხელის აზრი ჩვენთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. მოსახლეობა ჩართული იყო გადაწყვეტილების მიღებისა და შემდგომ, მისი განხორციელების პროცესში. ამან ძალიან კარგად იმუშავა და მოსახლეობის კმაყოფილება გამოიწვია.

**– მე-9 მოწვევის პარლამენტში თქვენი საქმიანობაც ასეთივე ეფექტური იყო?**

– ძალიან მნიშვნელოვანი იყო პარლამენტში ყოფნის წლები. მე გახლდით წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მაჟორიტარი. არ ვიქნები თავმდაბალი და ვიტყვი, რომ როცა შეჯამდა მე-9 მოწვევის პარლამენტის დეპუტატების საქმიანობა, საკანონმდებლო ინიციატივების წარმდგენთა ხუთეულში ვიყავი. ჩემი უმეტესი ინიციატივა, სწორედ შეეხებოდა თვითმმართველობის რეფორმას, მათ გაძლიერებას და გარემოსდაცვით მიმართულებებს. რადგან მანამდე გამგებელი ვიყავი, კარგად ვიცოდი, რა ხარვეზებს აწყდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობა საკანონმდებლო დონეზე. ძალიან ბევრი პრობლემა გადავჭერით მაშინ და ვფიქრობ, ჩემი საქმიანობა პარლამენტში ეფექტური იყო მინიმუმ იმის გამო, რაც ადგილობრივი თვითმმართველობების დეცენტრალიზაციის კუთხით განვახორციელეთ. ყველაზე მთავარი დოკუმენტი, რაც ამ კუთხით მივიღეთ, ეს იყო, დეცენტრალიზაციის სტრატეგია, რომლითაც დღესაც მიდის ეს პროცესი და რომლის შედეგიც ის იქნება, რომ მომავალ წლებში, მივიღებთ ევროპული ტიპის თვითმმართველობებს საქართველოში.

**– ჩანს, აღმასრულებელ ხელისუფლებაში უფრო კომფორტულად გრძნობთ თავს. მერის თანამდებობიდან წალენჯიხისთვის მეტი საქმის გაკეთების შანსი გექნებათ?**

– არასდროს მიფიქრია იმაზე, სად რომელი პოზიცია უფრო კომფორტულია. მე ყოველთვის იქ ვიქნები, სადაც ჩემს ხალხს, ჩემს წალენჯიხელებს დავჭირდები. მერის თანამდებობა უკვე ამ განვლილი პერიოდის, მუშაობის, ცოდნის, დაგროვილი გამოცდილების კარგად გამოყენების შესაძლებლობაა. დღეს მერს აქვს ყველა უფლებამოსილება საკანონმდებლო დონეზე, რომ მან, თავისი ცოდნისა და გამოცდილების სწორად მართვის შემთხვევაში, ძალიან ეფექტურად განახორციელოს ადგილობრივ მუნიციპალურ დონეზე ყველა იმ სერვისის მიწოდება, რაც მის მოქალაქეებს სჭირდებათ. ასე რომ, მერის პოზიცია ჩემთვის ძალიან საპასუხისმგებლო იქნება. განსაკუთრებით მომავალი 4 წლის განმავლობაში, როცა ჩვენ დასაკარგი დრო არ გვაქვს და ძალიან სწრაფად უნდა მივხედოთ თუნდაც იმ შედეგებს, რაც შეიძლება დაგვიტოვოს კოვიდპანდემიამ. სწრაფად უნდა აღვადგინოთ ეკონომიკა, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე და ძალიან სწრაფად და ეფექტურად უნდა განვახორციელოთ ის პროექტები, რომლებიც ჩვენი მოსახლეობის როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიურ დონეზე აისახება.

**– როგორ არჩევნებს ელოდებით და გამარჯვებაში დარწმუნებული ხართ?**

– წალენჯიხა არ გამოირჩევა რაღაც განსაკუთრებული დაპირისპირებებით. რა თქმა უნდა, ცხელი იქნება საარჩევნო პერიოდი, თუმცა ჩვენ ყოველთვის ვახერხებდით, რომ ძალიან წყნარ და მშვიდ გარემოში ვატარებდით. ჩვენ არავის მივცემთ საშუალებას და საფუძველს, რომ რაიმე პროვოკაციებს ჰქონდეს ადგილი. მცდელობები იქნება, მაგრამ ამისთვის მზად ვართ და ვპირდები მოსახლეობას, რომ ამ არჩევნებსაც ჩავატარებთ მშვიდ გარემოში. 2 ოქტომბერს ჩვენი ამომრჩეველი მივა საარჩევნო ურნებთან და როგორც ყოველთვის ბოლო წლების განმავლობაში, „ქართული ოცნების“ გუნდს ექნება ყველაზე დიდი მხარდაჭერა. დარწმუნებული ვარ, 2 ოქტომბერი დასრულდება ჩვენი გამარჯვებით. ჩვენ, წალენჯიხელებთან ერთად, აუცილებლად ავაშენებთ უკეთეს წალენჯიხას!



## გოგა გულორდავას დიდი ოჯახი და პატარა ნუციკო

კანდიდატის მეუღლე ნათია მოლაშხია ექიმი-სტომატოლოგია და პროფესიით მუშაობს. წყვილს სამი ქალიშვილი ჰყავს: 21 წლის მარიამი, 13 წლის ანასტასია და 6 წლის ნინო.

ნინო სკოლაში წელს მივიდა და ძალიან ბედნიერია. ანასტასია ბეჯითი მოსწავლეა. კარგად ხატავს. უნდა, რომ დიზაინერი ან არქიტექტორი გამოვიდეს და ამ მიმართულებით განვითარებას გეგმავს.

მარიამმა მამის პროფესია აირჩია და იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია. მან ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება საკმაოდ ადრეულ ასაკში მიიღო და უკვე წლინახევრის ნუციკოს დედაცაა. სხვათა შორის, ნუციკომ პირველად თქვა სიტყვა „ბაბუ“.

კანდიდატი ამბობს, რომ ნუციკომ ოჯახში განსაკუთრებული მხიარულება შემოიტანა. ის გულორდავას ოჯახის „ახალი სიცოცხლეა“. თუმცა, იმაშიც გამოგვიტყდა, რომ ბაბუის როლი ჯერ ბოლომდე ვერ მოირგო – ზოგჯერ ნუციკოს მეოთხე შვილად აღიქვამს.

თავისუფალი დრო იშვიათად აქვს, მაგრამ როგორც კი გამონახავს, გული ოჯახისკენ მიუწევს. ერთად ყოფნა ყველაზე მეტად აბედნიერებთ. ბატონი გოგა ამბობს, რომ შვილიშვილის დაბადების შემდეგ უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს – ნუციკო კიდევ ერთი ადამიანია, ვის გამოც ცდილობს რაც შეიძლება მეტი სიკეთე აკეთოს. ბატონმა გოგამ ისე უნდა იცხოვროს, რომ მისით, ნუციკომაც იამაყოს!

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტზე, გამოიყო 26 136 238 ლარი, დაფინანსდა 77 141 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (21 429 012,5 ლარით 187 957,4 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (4 782 481 ლარით 56 354 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (13 634 550 ლარით 12 208 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (3 962 039 ლარით 3 571 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 277 984 ლარით 2 045 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 101 057 ლარით 2 301 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, პროგრამით, **წალენჯიხის მუნიციპალიტეტში,** დაფინანსდა 5 858 ბენეფიციარი (295 573 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს **13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. წალენჯიხაში** იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მაჩვენებელია 82%. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **წალენჯიხაში,** სტაციონარული მკურნალობით 181-მა (477 867 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1 920-მა პაციენტმა (188 205 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 2 944 ორსული (147 678 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 795. 2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **წალენჯიხის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 1 232 პირი (518 682 ლ).**

2012 წლის შემდეგ, **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. წალენჯიხაში, 2013-2021 წლებში, სულ 399 შემთხვევა 574 482 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **წალენჯიხის მუნიციპალიტეტს 41 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა/მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ამბულატორიების მშენებლობა ადმინისტრაციულ ერთეულებში: მედანი (83 450 ლ), ნაკიფუ (83 901), ჩქვალერი (84 969 ლ); ამბულატორიების რეაბილიტაცია ჯგალსა (84 172 ლ) და ლიაში (15 662 ლ); ქ. წალენჯიხის სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ოფისის მშენებლობა (239 000), ქ. ჯვარში, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ოფისის მშენებლობა (222 222 ლ).

2013 წელთან შედარებით, **7,3-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 842,5 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 114,8 ათასი ლ).

**წალენჯიხაში 2012 წლიდან დღემდე განხორციელდა/ხორციელდება ჯანდაცვის 5 მუნიციპალური პროგრამა და ქვეპროგრამები, მათ შორის:** პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის ნაწილობრივი თანადაფინანსება, საქართველო C ჰეპატიტის გარეშე სახელმწიფო პროგრამის დიაგნოსტიკის კომპონენტით გათვალისწინებული კვლევების თანადაფინანსება, ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსების პროგრამა, ლეიკემიით დაავადებულთა ყოველთვიური ფინანსური დახმარება, დიალიზზე მყოფი პაციენტების საჭირო ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.



# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **წალენჯიხის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია 7091 პირია (01.02.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 2.2-ჯერ – 8 683 003-დან 19 294 070 ლარამდე გაიზარდა **პენსიების ანაზღაურებაზე** გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 122 659 384 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **წალენჯიხაში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 70 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,2-ჯერ – 109 996-დან 469 079 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 3 220 208 ლარი გაიცა. **მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **წალენჯიხის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების რაოდენობაა 1957 (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 4,5-ჯერ – 1 034 ათასიდან 4629 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 28 682 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 6009 ათასი, შშმ პირებზე – 2032 ათასი, ბავშვებზე – 10 170 ათასი ლარი. ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **წალენჯიხაში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 1325 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,4-ჯერ – 427 053-დან 2 327 051 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 15 710 780 ლარი. **წალენჯიხის მუნიციპალიტეტში**



ჩქვალერის ამბულატორია

**6885 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 3 045 482-დან 3 852 810 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 32 881 821 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 386 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი" სახელმწიფომ სახლი 167 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 219 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **წალენჯიხაში,** დაფინანსებულია 127 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 317 600 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 241 950 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან **წალენჯიხის მუნიციპალიტეტზე** – 2 018 500 ლარი. ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს – მუნიციპალიტეტში ჩართული იყო 912, 2021 წელს – 999 ოჯახი. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, წალენჯიხაში, 2020 წელს, ისარგებლა 282-მა ოჯახმა, 2021 წ. – 309-მა (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით), მუნიციპალიტეტში, 2020 წ. ჩაერთო 338 პირი, 2021 წ. – 336 (ივნისის მდგომ.).

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300 ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით, **2,3-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 758,4 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 325,7 ათასი ლ).

**2012 წლიდან დღემდე, წალენჯიხის ბიუჯეტი სოციალური დაცვის 8 მუნიციპალურ პროგრამას/ქვეპროგრამას აფინანსებს, მათ შორის:** სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა, ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა, მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ფულადი დახმარების პროგრამა, შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა, დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება, სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.**

წალენჯიხაში ფუნქციონირებს 35 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 6 – ქ. წალენჯიხაში, 5 – ქ. ჯვარში, ხოლო 24 – სოფლად.

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო.** 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 4 მლნ 116,2 ათასი ლარით განისაზღვრა. მათ შორის, 1 მლნ 790 ათასი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 490 ათასი ლარი იყო.

**2015-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. მათ შორის: 2015 წელს –** წალენჯიხაში საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაციაზე, რეგიონული განვითარების ფონდიდან 700,7 ათასი ლარი დაიხარჯა. ასევე, განხორციელდა ნაკიფუს თემში საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია (11,1 ათასი ლარი). **2016 წელს –** განხორციელდა წალენჯიხის №3 და ნაგურუს საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია (ჯამში, 85,6 ათასი ლარი). მიქავასა და ჯგალში საბავშვო ბაღების მშენებლობა (I ეტაპი – 364,4 ათასი ლარი). ასევე, აშენდა წალენჯიხის №2, საჩინოს, ჯვარი-ოჭანეს, ფახულანი-წყოუშის საბავშვო ბაღები. **2017-2018 წლებში – რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 7 პროექტი განხორციელდა, რაზეც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ჯამში, 3 მლნ 13,4 ათასი ლარი დაიხარჯა. **2019-2020 წლებში –** სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა წალენჯიხის №1 ბაღს (330 ათასი ლარი), განხორციელდა სოფელ ჯგალის საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (25 ათასი ლარი). **2020 წელს** ექსპლოატაციაში შევიდა წალენჯიხის №4 და ჯგალის №2 (326,7 ათასი ლარი) ახალაშენებული საბავშვო ბაღები. **დასრულდა** მიქავას №2 (446,8 ათასი ლარი) საბავშვო ბაღის მშენებლობის მეორე ეტაპი. 19 საბავშვო ბაღში განხორციელდა **კვების ბლოკებისა და სველი წერტილების რეაბილიტაცია** (ჯამში, 512 ათასი ლარი).

**შესრულებული სამუშაოების შედეგად,** 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 948-დან 1125-მდე გაიზარდა. 1,08-დან 1,8 ლარამდე გაიზარდა **კვების** თანხა თითოეულ აღსაზრდელზე, მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვთა კვების




41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

რაციონი. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია 10 საბავშვო ბაღის 22 სააღმზრდელო ჯგუფში. წალენჯიხის საბავშვო ბაღებში დასაქმებულია 53 აღმზრდელ-პედაგოგი. საბავშვო ბაღებს 28 ექიმი/ექთანი და 3 ფსიქოლოგი ემსახურება.

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 30 საჯარო სკოლაა** (მათგან 11 – ქ. წალენჯიხასა და ქ. ჯვარში). სკოლებში 3474 მოსწავლე და 682 მასწავლებელია (მათ შორის, 29 სპეცმასწავლებელი). მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 99 სსსმ მოსწავლე. 6 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას 13 მანდატური იცავს. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 8 საჯარო სკოლაში.

**2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო და ტრენინგ-პროგრამები, მათ შორის:** პროგრამაში **„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“** , საზაფხულო სკოლებში, 2013– 2019 წლებში, 230 მოსწავლე იყო ჩართული. 2013-2018 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით, 45 სასკოლო პროექტი/არაფორმალური განათლების წრე დაფინანსდა, 2017-2019 წლებში 45 პროექტი დაფინანსდა. **საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით,** 2019 წელს, სოფელ ეწერის საჯარო სკოლას – 10 კომპიუტერი გადაეცა. 2013-2019 წლებში, **ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში,** ჯამში, წალენჯიხის საჯარო სკოლების 2955 მოსწავლე მონაწილეობდა. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** საჯარო სკოლების აღჭურვის 19 და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 43 პროექტი განხორციელდა. 2015-2019 წლებში, წალენჯიხის საჯარო სკოლების **შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 59 პროექტი განხორციელდა. 2021 წლისთვის, **ახალი სკოლის მოდელი** დანერგილია მუნიციპალიტეტის 5 საჯარო სკოლაში. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით, 30 სკოლის (150 მიმართულება) 1800 მოსწავლე სარგებლობს. 2017-2020 წლებში, საჯარო სკოლებს, ჯამში, 1232 **სასკოლო ჟურნალი და** 91871 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცათ. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“;** 2013-2019 წლებში, პირველკლასელებს საჩუქრად 2086 კომპიუტერი გადაეცათ, 224 კომპიუტერი – კლასის დამრიგებლებს, **„წარჩინებულ მოსწავლეთა წახალისების“** პროგრამით კი, 307 – წარჩინებულ მოსწავლეს. იმავე პერიოდში წალენჯიხის საჯარო სკოლებში, ჯამში, 183 **ოქროს და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების** მიზნობრივი პროგრამებით, კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

**სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 31 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 28 საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია 11 საჯარო სკოლა. მათ შორის, **2013 წელს,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 8 სკოლის რეაბილიტაცია, რაზეც სულ 468,7 ათასი ლარი დაიხარჯა; **2014 წელს –** 4 სკოლის რეაბილიტაცია სულ 204,1 ათასი ლარი; **2015 წელს** რეაბილიტაცია ჩაუტარდა 7 საჯარო სკოლას, რაც 459,8 ათასი ლარით დაფინანსდა; **2016 წელს** რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 სკოლას და წალენჯიხის საგანმანათლებლო რესურსცენტრს (22,7 ათასი ლარი); მომზადდა კალისტრატე სალიას სახელობის ჯგალის თემის საჯარო სკოლის (შერწყმული კანთის სკოლა) მშენებლობის პროექტი; კოლეჯ „ლაკადას“ ღობის მოწყობაზე დაიხარჯა 39,1 ათასი ლარი. **2017 წელს** განხორციელდა ქალის თემის №1 საჯარო სკოლის გათბობის მოწყობა/რეაბილიტაცია (64,1 ათასი ლარი). დაფინანსდა: ქალის თემის №2 (564 ლარი); ქ. წალენჯიხის №5 (8,2 ათასი ლარი); ქ.ჯვარის №1 (2,9 ათასი ლარი); ნაფიჩხოვოს თემის (1,1 ათასი ლარი); ქალის თემის №1 (109,5 ათასი ლარი) საჯარო სკოლებში სხვადასხვა ტიპი სარეაბილიტაციო სამუშაოები. **2018 წელს** დაფინანსდა: სახურავების რეაბილიტაცია ქ.ჯვარის №2 (40,3 ათასი ლარი) და ქ. წალენჯიხის №2 (1,1 ათასი ლარი) საჯარო სკოლებში; ასევე ქ.წალენჯიხის №2 სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია (2,2 ათასი ლარი). **2019 წელს** დაფინანსდა: მიქავას თემის №2 სკოლაში სამედიცინო ოთახის აღჭურვა (3,6 ათასი ლარი); ეწერის სკოლის ელენერგიის სიმძლავრის გაზრდა (10,1 ათასი ლარი); **2017-2020 წლებში,** აშენდა საჯარო სკოლის ახალი შენობა სოფელ ეწერში – 2 მლნ 233,4 ათასი ლარი; **ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით, 2019 წელს –** წალენჯიხის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 9 პროექტზე ცენტრალური ბიუჯეტიდან 275 ათასი ლარი დაიხარჯა. **2020 წელს –** მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სველი წერტილებისა და პანდუსების მოწყობა-რეაბილიტაციის 28 პროექტი განხორციელდა, რაზეც, ჯამში, ცენტრალური ბიუჯეტიდან 997,2 ათასი ლარი დაიხარჯა. 2020 წლიდან დღემდე ნაწილობრივ რეაბილიტირებულია 18 საჯარო სკოლა; **მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით დასრულდა**: ნაკიფუს თემის საჯარო სკოლის მშენებლობა – 1 მლნ 276,3 ათასი ლარი, ჯგალში (კანთის სკოლა) საჯარო სკოლის მშენებლობა – 1 მლნ 256,9 ათასი ლარი. ამჟამად **მიმდინარეობს** (ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით) და **წლის ბოლომდე დასრულდება:** ქ. წალენჯიხაში, 150 მოსწავლეზე გათვლილი, №4 საჯარო სკოლის მშენებლობა – 2 მლნ 276 ათასი ლარი; სოფელ ჩქვალერში, 120 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 1 მლნ 829,8 ათასი ლარი.

## პროფესიული განათლება

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ქ. ჯვარში ფუნქციონირებს სსიპ კოლეჯი „ლაკადა“.** 2020 წლისთვის კოლეჯს 10-მდე პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაზე აქვს მოპოვებული სტუდენტთა მიღების უფლება და 2021 წლიდან სულ 13 მოდულური პროგრამას ახორციელებს.

კოლეჯი ჩართული იყო მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი კურსების განხორციელებაში: სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამით გადამზადდა 28 პირი; პროექტ LIFEGeorgia-ს ფარგლებში, ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა მოკლევადიანი გადამზადების კურსები (86 ბენეფიციარი). კოლეჯის მასწავლებლები ჩართული იყვნენ შესაძლებლობების განვითარების ტრენინგებში და გადამზადნენ სხვადასხვა მიმართულებით.

2016 წლიდან კოლეჯში მოწყობილია **ინოვაციური ლაბორატორია.** 2013-2020 წლებში სახელმწიფოს მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებების **მიზნობრივმა პროგრამულმა დაფინანსებამ 3 მლნ 987,5 ათასი ლარი** შეადგინა. 2017-2019 წლებში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების კურსების დანერგვის მიზნით 24 პროექტი განხორციელდა.

**2013-2019 წლებში** კოლეჯში 689 სტუდენტი ჩაირიცხა, მათ შორის 15 – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირი. იმავე წლებში კოლეჯი 308-მა სტუდენტმა დაამთავრა, მათ შორის 10 – სსსმ პირმა. 2020 წელს პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებში კოლეჯის 213 სტუდენტი იყო ჩართული, მათ შორის 6 – სსსმ პირი. კოლეჯში 78 აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მუშაობს.

**2015 წელს** განხორციელდა კოლეჯის სრული რეაბილიტაცია. **2020 წელს** დასრულდა კოლეჯის საერთო საცხოვრებლის პროექტირება. ასევე სასწავლო სახელოსნოები აშენდა წალენჯიხასა და ფოცხოეწერში (ფოცხოეწერში სადურგლო და ხის დამუშავების სახელოსნო აშენდა აფხაზეთის ა/რ მთავრობის მხარდაჭერით, კერძო სექტორთან თანამშრომლობით).

**2020 წლიდან** კოლეჯმა მოიპოვა ისეთი ტიპის პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება, რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა **სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი.** 2020 წელს ინტეგრირებულ პროფესიულ პროგრამებში კოლეჯის 18 სტუდენტი ჩაერთო. მუნიციპალიტეტში შეიქმნა ზრდასრულთა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა. 2021 წლის მდგომარეობით, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების 4 პროგრამა ხელმისაწვდომია 2 დაწესებულებაში.

## უმაღლესი განათლება

**უმაღლესი განათლების მიღების მიზნით, გამყოფი ხაზის პროგრამის ფარგლებში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტიდან 2020-2021 სასწავლო წელს დაფინანსდა 148 სტუდენტი.**

### „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მათ შორის, საბავშვო ბაღების ახალი შენობები აშენდება ლეჯოლოხესა და ოჭანეს უბნებში; ასევე, დაგეგმილია ახალი ბაღების მშენებლობა ზედა მაზანდარისა და ზღვაიას უბნებში; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- გაგრძელდება საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის, სკოლების სახელმწიფო პროგრამით (ინფრასტრუქტურის სამინისტრო) განხორციელდება წალენჯიხის №1 საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია – 60 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება წალენჯიხაში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით;
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობასამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- 2022 წელს დაგეგმილია პროფესიულ კოლეჯ „ლაკადას“ საერთო საცხოვრებლის მშენებლობა;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** ტერენტი გრანელის მუზეუმი, ლეო ქიაჩელის სახლ-მუზეუმი, ნიკოლოზ შენგელიას სახლ-მუზეუმი, ტარას კვარაცხელიას სახლ-მუზეუმი, ეგნატე ფიფიას სახლ-მუზეუმი, ეთნოგრაფიული მუზეუმი, ცენტრალური ბიბლიოთეკა (18 ფილიალით), ნიკოლოზ შენგელაიას სახელობის კინო-თეატრი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, წალენჯიხის სამუსიკო სკოლა, ქ. ჯვარის კულტურის სახლი, ქ. ჯვარის მუსიკალური სკოლა, საკლუბო გაერთიანება, კულტურის სახლები თემებსა და ქ. ჯვარში (სულ – 13), კულტურის ცენტრთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ბედინერა“, კულტურის ცენტრთან არსებული ქალთა ანსამბლი „მაფშალია“, კულტურის ცენტრთან არსებული ქართული ცეკვის ანსამბლი „ხალისი“, სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „ლაკადა“, სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრთან არსებული ქართული ცეკვის ანსამბლი „იმედი“, ქ. ჯვარის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამა“ და ფოლკლორული ანსამბლი „ლალე“.

**2013 წელთან შედარებით გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს კულტურის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 1 მლნ 790 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 370 ათასი ლარი იყო.

**2014-2018 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.** წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ეწყობა **კულტურული მემკვიდრეობის თემაზე საძიებო-სადაზვერვო ექსპედიცია** და მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის **კონკურსი „წინაპართა ნაკვალევზე“,** კულტურული მემკვიდრეობის თემებზე ტარდება კონფერენციები, იმართება სადღესასწაულო ღონისძიებები (ქალთა დღე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, დედაენის დღე და სხვ.), მემორიალური შემოქმედების საღამოები და სახალხო ზეიმები – „გრანელობა“, „ტარასობა,“ „ჯარალუა“ და სხვა კულტურული ღონისძიებები.

**2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის:**

**2014-2018 წლებში** – რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით, განხორციელდა ქ. წალენჯიხაში კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია, რაზეც 193,2 ათასი ლარი დაიხარჯა;

**2016-2017 წლებში,** რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით, განხორციელდა ქ. წალენჯიხის კულტურის სახლის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი, რაც 665 ათასი ლარით დაფინანსდა. შეკეთდა ჯვარის კულტურის სახლის ოთახები – 28 ათასი ლარი.



ქალაქი ჯვარი, კულტურის სახლი

**ჯგალის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში აშენდა იუსტიციის სახლი, სადაც განთავსებულია ბიბლიოთეკა, რაზეც 375, 4 ათასი ლარი დაიხარჯა.**

**2020 წელს დაიწყო და 2021 წელს დასრულდა ქალაქ ჯვარის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.** კულტურის სახლი 1975-1976 წლებში აშენდა და მას 600 მაყურებელზე გათვლილი დარბაზი აქვს. კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ნაწილი 2016 წელს განხორციელდა. ხოლო 2020 წელს დაიწყო რეაბილიტაციის მეორე ეტაპი. პროექტის მიხედვით, კულტურის სახლში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მთლიანად შეიცვალა შიდა და გარე ინფრასტრუქტურა. ქალაქ ჯვარში, კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, რეგიონული განვითარების ფონდიდან, 380.9 ათასი ლარი დაიხარჯა. პროექტის საერთო ღირებულება კი ჯამში, 583,2 ათასი ლარია.

**ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით**, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სქურის მამათა მონასტერს; ამჟამად მიმდინარეობს სქურის ეკლესიის გალავნის მოწყობის სამუშაოები. ასევე, მიმდინარეობს და გაგრძელდება ქალაქ წალენჯიხაში, ფერისცვალების სახელობის ეკლესიის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოები.

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, მუნიციპალიტეტში განხორციელდა პროექტები:**

**2014 წელს** განხორციელდა სქურის ეკლესიის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი, რაზეც 150 ათასი ლარი დაიხარჯა;

**2015 წელს** – სქურის ეკლესიის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი 450 ათასი ლარით დაფინანსდა;

**2016 წელი** – ენგურჰესის ინდუსტრიული მემკვიდრეობის ძეგლის მიმდებარედ, ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიული გეგმის მომზადება – ესტონეთის მხარის ჩართულობით კვლევითი სამუშაოების განხორციელება და ენგურჰესის ინდუსტრიული მემკვიდრეობის ძეგლის განვითარების სტრატეგიის შემუშავება 45 ათასი ლარით დაფინანსდა.

**„ენგურჰესის“ თაღოვან კაშხალს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა**. „ენგურჰესი“ ქვეყნის პირველი ინდუსტრიული ძეგლი იქნება, სადაც სამუზეუმო-საინფორმაციო სივრცე მოეწყობა და იქ მისულ სტუმრებს ენგურზე გადახედვა შეეძლებათ. „ენგურჰესის“ კაშხლის უნიკალური ნაგებობისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების ცერემონია 2015 წლის 21 აგვისტოს დაბა ჯვარში გაიმართა.

**2018 წელს –** განხორციელდა მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთი მონაკვეთის მოხატულობის საკონსერვაციო სამუშაოები, რაზეც 385 ათასი ლარი დაიხარჯა.

**საქართველოს მასშტაბით, მათ შორის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში,** კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, **2019 წელს** განხორციელდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი **„მოდერნის სტილის არქიტექტურული მემკვიდრეობის კვლევა საქართველოში – გამოვლენა, აღრიცხვა და შესწავლა“** (პროექტის საერთო ბიუჯეტი – 19,7 ათასი ლარი).

წალენჯიხას ფარავს ევროპის საბჭოს **„ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში”** მარშრუტები ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

## სპორტი

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული** ა(ა)იპ სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორტო საგანმანათლებლო სააღმზრდელო სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება.

**2020 წელს სპორტის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 469,4 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 406,5 ათასი ლარი იყო.**

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სპორტის პრიორიტეტული სახეობებია:** ჭადრაკი, კრივი, კარატე, კალათბურთი, ტაეკვონდო, ჭიდაობა, მძლეოსნობა, ფეხბურთი, ფრენბურთი, მინი ფეხბურთი, ნარდი და შაში.

**სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:** ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების სპორტულ აქტივობებში ჩართულობის მხარდაჭერა; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება (სპორტული აქტივობები, სტუდენტური დღეები, ინტელექტუალური კონკურსები და სხვ.); სპორტული ღონისძიების („მარულა – 2016”) ორგანიზება; საქართველოს დამოუკიდებლობის დღესა და შშმ პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებული კულტურული და სპორტული ღონისძიებები; წარმატებული სპორტსმენების პოპულარიზაცია; კონტაქტური კარატეს ხელშეწყობა და ორგანიზება; რეგიონული ტურნირის ჩატარება და ორგანიზება (მინიფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი და გეზრბენი).

**განხორციელდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა– რეაბილიტაციის შემდეგი პროექტები.**

**2013-2016 წლებში** – მინიმოედნები მოეწყო სოფლებში: ფახულანი, ჭალე, ლია, საჩინო, ნაკიფუ, ობუჯი.

**ამავე წლებში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით –** მინიმოედნები მოეწყო სოფლებში ჯგალი და მუჟავა;

**ქ. წალენჯიხაში,** ტერენტი გრანელის პარკში, მოეწყო სპორტული მინიმოედანი, რაზეც 51,7 ათასი ლარი დაიხარჯა; ქალაქ წალენჯიხაში დამონტაჟდა გარე სავარჯიშო მოწყობილობები, რაც 35 ათასი ლარით დაფინანსდა, ხოლო ჯვარში, გარე სავარჯიშოების მოწყობა/მონტაჟზე 35 ათასი ლარი დაიხარჯა;

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

**2016-2021 წლებში,** ქალაქ წალენჯიხაში, ქალაქ ჯვარში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში აშენდა 21 საფეხბურთო მინიმოედანი, რომელთა საერთო ღირებულება 250 ათასი ლარზე მეტია.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახეობის შიდა ჩემპიონატები ჩაატარეს. სამინისტრომ დააფინანსა ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობების მშენებლობა და სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა, ჩაატარა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის, 2013-2018 წლებში, სამინისტრომ მუნიციპალიტეტში 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა, რაზეც 14,3 ათასი ლარი დაიხარჯა.

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**ახალგაზრდული მიმართულებებით სამინისტრომ მუნიციპალიტეტში შემდეგი პროექტები განახორციელა:** „მოხალისეობის განვითარების პროგრამა“ (2-2 ახალგაზრდა ყველა მუნიციპალიტეტიდან); „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობდნენ 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

**2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- 2022-2025 წლებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, დაგეგმილია ენგურჰესის ინფრასტრუქტურის განვითარება (16 ათასი ლარი);
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- განხორციელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

# მართლწესრიგი

## დანაშაულის სტატისტიკა

2017-2020 წლებში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, მძიმე დანაშაულის (იმ 5 სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:

**ცხ. 1 წალენჯიხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე დანაშაული 2017-2020 წწ.**

| მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ | 2020 წ |
|---|---|---|---|---|
| განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები) | 0 | 0 | 0 | 0 |
| მათ შორის, გახსნილი | 0 | 0 | 0 | 0 |
| მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) | 0 | 0 | 0 | 0 |
| მათ შორის, გახსნილი | 0 | 0 | 0 | 0 |
| გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი) | 0 | 0 | 0 | 0 |
| მათ შორის, გახსნილი | 0 | 0 | 0 | 0 |
| ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი) | 1 | 0 | 4 | 0 |
| მათ შორის, გახსნილი | 1 | 0 | 4 | 0 |
| ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი) | 0 | 1 | 0 | 0 |
| მათ შორის, გახსნილი | 0 | 1 | 0 | 0 |
| სულ | 1 | 1 | 4 | 0 |
| მათ შორის გახსნილი | 1 | 1 | 4 | 0 |

**ცხ.2 პრობაციონერთა სტატისტიკა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში**

| პრობაციონერთა სტატისტიკა | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ | 2020 წ |
|---|---|---|---|---|
| მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა | 140 | 158 | 188 | 215 |
| არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 1 | 1 | 0 |
| დანაშაულის რეციდივის შემთხვევები | 3(2,1%) | 0 | 8(4,3%) | 7(3,3%) |
| სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |
| პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, 2017-2020 წლებში, კრიმინოგენური მდგომარეობა გამორჩეულად მშვიდი და სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 6 შემთხვევა, რომელთაგან ექვსივე გახსნილია, ანუ სახეზეა გახსნის – 100%-იანი მაჩვენებელი. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში ძალზე იშვიათია, ყოველწლიურად 4 შემთხვევას არ აღემატება, მათი ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება, ხოლო გასულ 2020 წელს, ასეთი მძიმე კატეგორიის დანაშაული საერთოდ არ აღრიცხულა.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების“** კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი,** რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.

## პრობაციონერთა სტატისტიკა

2017-2020 წწ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში.

მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა, წინა წლებთან შედარებით, დასტაბილურდა და მნიშვნელოვნად აღარ იზრდება. მოქმედ პრობაციონერთა შორის დანაშაულის რეციდივის შემთხვევები წლიურად არ აღემატება 4,3%-ს რაც დაბალი მაჩვენებელია და მუნიციპალიტეტში კრიმინოგენური მდგომარეობის სტაბილურობაზეც მკაფიოდ მიუთითებს.

სამომავლოდ პრობაციის სააგენტო გეგმავს პრობაციონერების ხელშეწყობას დასაქმებაში და მათთვის სოციალური რეაბილიტაციის ეფექტიანი პროგრამების განხორციელებას.

## მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ცენტრები

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში, საზოგადოებრივ მომსახურეობათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახელდა მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საზოგადოებრივი ცენტრების ამოქმედება. საზოგადოებრივი ცენტრი, იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს დასახლებიდან გაუსვლელად შეუძლია მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო (მაგ. „ლიბერთი“ ბანკის, მაგთიკომის და სხვ.) მომსახურება, რომელსაც სპეციალურად ამ მიზნით მაღალი პროფესიულ სტანდარტებით მომზადებული პერსონალი ახორციელებს; ამავდროულად, საზოგადოებრივი ცენტრი განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ტერიტორიული ორგანოების აღდგენის კვალობაზე საზოგადოებრივი ცენტრი წარმატებით შეასრულებს შესაბამისი ერთეულის ადმინისტრაციის, აგრეთვე მასთან არსებული სათემო საბჭოს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ოფისის ფუნქციას. იგი გახდება ეფექტიანი ინსტრუმენტი თემის თვითორგანიზებისა და მის მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი თვითმმართველობის უშუალოდ განხორციელებისათვის.

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველი საზოგადოებრივი ცენტრი ქ. ჯვარში 2013 წლის 3 აგვისტოს გაიხსნა, მეორე საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა სოფელ ჯგალში და მოსახლეობას ემსახურება 2017 წლის 31 დეკემბრიდან.**

სამომავლოდ საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა, აღჭურვა და პერსონალის მომზადება ეტაპობრივად მოიცავს მთლიანად მუნიციპალიტეტს, რაც ხარისხობრივად გაზრდის სახელმწიფო თუ მუნიციპალური მომსახურეობის ხარისხსა და მათ ხელმისაწვდომობას ადგილებზე, თვისებრივად ახალ ეტაპზე გაიყვანს ადგილობრივ თვითმმართველობას და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ადგილებზე სწრაფი განვითარებისათვის.




სოფ. ჯგალის საზოგადოებრივი ცენტრი




# ჩემო ძვირფასებო!

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერობა დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა.

კარგად ვიცნობ ყველა იმ გამოწვევასა თუ პრობლემას, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის წინაშე დგას. ბევრი მაქვს ნაფიქრი, რისი გაკეთება შეგვიძლია ჩვენი შესაძლებლობების სწორად გამოყენებისთვის და რეგიონში სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკური პროცესების გასაღვივებლად, რაც, თავის მხრივ, ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობის საწინდარია. ბოლო წლების განმავლობაში „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ წალენჯიხაში არაერთი პროექტი განახორციელა, მათ შორის: გზების რეაბილიტაცია თუ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სკოლებისა და ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, გაზიფიცირება და ა.შ. თუმცა, ეს არ არის საკმარისი და ამაზე გაჩერებას არ ვაპირებთ.

ჩემი და ჩემი გუნდის პრიორიტეტია, ხელი შევუწყოთ ჩვენს ახალგაზრდებს, მიიღონ თანამედროვე განათლება და აქტიურად ჩაერთონ ქვეყნისა თუ ჩვენი მუნიციპალიტეტის მართვაში; ხელი შევუწყოთ ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ თითოეულ ოჯახს გაძლიერებაში; მხარი დავუჭიროთ ადგილობრივ მოსახლეობას, რათა სოფლის მეურნეობის მიმართულებით კონკურენტუნარიანი პროდუქტი შექმნან; ყველა სოფელი ინფრასტრუქტურულად გამართული და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე იყოს მორგებული; შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები. მჯერა, ჩვენ ერთად უნდა შევქმნათ ტურისტულად მიმზიდველი, საცხოვრებლად კომფორტული და ეკონომიკურად ძლიერი წალენჯიხა, რადგან აქ მცხოვრები ხალხი ამას იმსახურებს. გარწმუნებთ, თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებისთვის ჩვენი მუნიციპალიტეტი პრიორიტეტული იქნება, მიმდინარე პროექტებს წარმატებით დავასრულებთ და მომავალ გეგმებსაც თქვენთან ერთად, თქვენი უშუალო ჩართულობით განვახორციელებთ.

დარწმუნებული ვარ, სწორ არჩევანს გააკეთებთ! ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

**„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:**



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.